

უნდა გეგონო დედა ოსანა, გაუბედურებული ქვრივი ვასასი, გულ მოკლულნი დები: ცაცა, ნინა, ალექსანდრა და ლიზა; შვილები და სიძეები აკაკი დიმიტრის ძე ბაქრაძე, ექიმი გიორგი ზაგრაძის ძე მარგველაშვილი და გრიგოლ ალექსანდრეს ძე ექსანიშვილი აცნობებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობებს, რომ კვირას, 10 ივნისს, სილამოს 5 და ნახ. საათზე, გადახდილი იქნება 6 თვის თავზედ პანაშვიდი მათთვის დაუფიცვარ

გელაურ ვლასის ძის დარახველი ძის
ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაზე.

№ 425 2-2

ორშაბათს, 11 ივნისს, საღამოს 6 საათზე

სახელმწიფო ოპერის შენობაში დინიშნულია

ტფილისის საგზაო გაყვართუებული სდომა

ქარხნების, ფაბრიკების და ადგილობრივების წევრების მონაწილეობით.

დღის წესრიგში:

მოსვენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელია ანხ. მამია. ორა-ხელაშვილი.

დასწრება ყველა საბჭოს წევრთათვის საავალდებულოა.

აღმასკომის პრეზიდიუმი

№ 368-3-3

გაზეთი „ტრეზნი“

კვირას, ივნისის 17

გალაკტიონ

საგზაო

საგზაო

№ 372 1-1

განცხადება
ივნისისათვის დანიშნული ტფილისის საბჭოს სხდომა გადადებულია
16 ივნისისათვის.

პრეზიდიუმი.
№ 373 1-1

შტატების შედგენისათვის

ამ ჟამად მთელი ამიერ კავკასიის ფედერაცი-ის მასშტაბით სწავრობებს მუშა-მოსამსახურეთა შტატების შემდგომ დაახლოებით 30 პროცენ-ით.


პირველი მაგალითი არ არის ჩვენში შტატე-ის შემდგომების საქმე. საქართველოს გასაბჭოების დღიდან უკვე მრავალჯერ შემოკლდა მოსამსახურე-ის რიცხვი. სახელმწიფო დაწესებულებები მაინც ერ განთავისუფლდა ზედმეტი ხელისაგან. ამიტომ ართვა-გამგეობის, საქმის წარმოების აპარატ-იანდათან ბიუროკრატიაში დასწევდა. ახლა წარმოებს გენერალური რევიზია, შტატების კარ-გინალო შემოკლება. უმეტესად სახელისხმო შედე-გების მიღებაა მოსალოდნელი.

შტატების შემოკლების დროს სახელმწიფო-ის პრინციპად შემდეგი უნდა იქმნას მიღებული: უმცირესში უნდა მოყვეს ის მოსამსახურე, რომე-ნიც არ იცის სახელმწიფოებრივი ენა. ამ პრინ-ციპის დაცვაზეა დამოკიდებული ნაციონალიზაციის რატიკულად განხორციელების ბედ-ილბალი.

გერც სომხეთში, გერც აღმოსავლეთისა და სა-ბრთველოში ნაციონალიზაციის კითხი არ გადა-

მუშაების მასაიდუმლო

(ეგნატე ნინოშვილის ძეგლის გახსნის გამო)



მართალი არის მოხუცი კომუნისტი მიხა ცხაკია, რომელიც ამბობს, რომ ეგნატე ნინოშვილი ვერ გახდა ცხოვრე-ბაში იმ ხვედრის ღირსი, როგორიც ხვდა მაქსიმე გორკისი.

არა თუ ბევრ ახალგაზრდებს, არამედ ბევრ ძველ მუშებსაც არ უნახავთ სიო-ცხლის დროს ეგნატეს ღრმა მოაზროვნე შუბლი და მშვიდი სახის გამომეტყველ-ბა, ბევრს ალბად არა ჰქონდა შემთხვევა-გაველო ალექსანდრეს ბაღში და დაენახა-ხის ქვეშ სკამზე მჯდომარე გაზეთებით ხელში ეგნატე, ან და შეიძლება ბევრმა არც კი იცოდა, რომ ამ 27-28 წლის წინედ ტფილისში იყო ყველა ჩვენი სო-ციალისტების მოზარე-მასპინძელი და მწიგნობრობის პიონერი აწ მოხუცი ზა-ქარია ქიქინაძე, რომლის წიგნის მაღა-ზიაში ექნებოდა მას შემთხვევა დაენახა-ლაიბულ სამოსელში გამოხვეული, ნა-ხევრად მშვიერი, მისუსტებული და ქლე-ქის ნიშნებით შეპყრობილი, მაგრამ დი-დი იდეალისტი და პროლეტარიატის მესაიდუმლო ეგნატე ნინოშვილი.

ვისაც ეგნატეს ცოცხალი სურათი სინამდვილეში არ უხილავს, ცოტა არ იყოს ბევრს ბუნდოვანი წარმოდგენა ექნება იმ ადამიანზე, რომლის გულის-სიღრმეში და მთელს მის არსებობაში ღრმად იყო ჩამარბული ჩაგრული ხალხის ჭირ-ვარამი და უკეთესი მერმისის გა-მარჯვების იმედი.

ეგნატემ მშრომელ ხალხს შესწირა თავი, იგი მოკვდა და ჩვენ ურყევლად გვწამს, რომ მისი ცოცხალი სიტყვა, აზრი და იდეალი ჩვენს შორის დარჩა: —**ხალხი, მშრომელი ხალხი მაინც გაიმარჯვებს!**

აი, ეგნატე როგორი რწმენით მიეფარა ცოდვილ დედამიწას და ის არ მოსტყუდა: —**ხალხმა გაიმარჯვა** ტარიელ მკლავაძეებზე.

და მაშინ, როდესაც რევოლუციის ქარ-ცეცხლმა მოარეცხა ქუჩები გამურულ ცხოვრე-ბას, მაშინ, როდესაც დაიღწა მონის ბორკილები და ზარმა, თავისუფლების ზარმა ჩამოჰ-კრა ეგნატე ნინოშვილის სამშობლოში, — ამ დროს... ამ დროს ეგნატე არავის გახსენებია, ვერავინ ვერ იცისრა მახარობლობა, რომ ეუწყებინათ ტანჯული ხალხის ტანჯული მსხვერ-პლისთვის —**მშრომელი ხალხის გამარჯვება?**

დღეს, როდესაც მუშათა კლასის პროლეტარულმა ნაწილმა სიმბოლო ეგნატეს სარ-წმინდობისა — წითელი დროშა მალა აღმართა მუშათა ჯარი დღეს წარსდგება ეგნატეს ძეგლის წინაშე და დაიძახებს: —

- გაუმარჯოს მშრომელი ხალხის პატრონობას!
- ძირს წავიდეს გენერლები!
- გაუმარჯოს სოციალიზმს!

ახანაფო მუშებო! ეგნატეს ძეგლის წინაშე მუხლი მოვიყაროთ!..

- ასწიეთ მაღლა წითელი დროშა!
- წამს გამარჯვება ჩვენია!

განცხადება

ქართულ — მხატვრულ ლიტერატურაში ეგნატე ნინოშვილს (ინგოროყვას) ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს. საქართველოს ხალხი აფასებს ეგნატეს დამსახურებას და პატივს სცემს მის სახელს. და სრულიად ბუნებრივად: არც ერთი ქართველი მწე-რალ-მელოტრისტი არ ჩამოტოვდა მშრომელი ხალხის ცხოვრების უფსკრულში ეგნატეზე მიიმედ. ეგნატეს მადლიანმა კლამმა გადაგვიშალა სოფლის მუშების ჭირ-ვარამის მწარე სურათი, გლეხ-კაცობის ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი მომენტები გასულ საუკუნის ბოლო-ბოლოდან დაიწყო წლებში.

საქართველოს მშრომელი მასა იმ ხანებში გა-ნიცდიდა ჩავგროს ეკონომიურს, მონობას ეროვნულს. ბატონ-ყმური წესები ფორმალთი თვალსაზრისით უკუგდებული იყო. გლეხობას „განთავისუფლებუ-ლად“ სთვლიდა მაშინდელი საზოგადოებრივი აზ-რი. მაგრამ არსებობდა სოფლის მიწის ნუშების უბ-ნებში არ შემწყდარა კენესა-ვაება, გლეხობის ცხო-ვრებაში არ მომდარა კარდინალი ხასიათის ცვლი-ლება.

ფეოდალიზმის მოსპობამ ხელი შეუწყო ახალი ფეოდალების-ჩარჩ-ვაჭრების, ან კულტურული თერ-მინით რომ ესთქვათ, — ბურჟუაზიის გაბატონებას. „ახალ ცხოვრების“ დამახასიათებელ თვისებად ფუ-ლი და მისი ტრიალი მოგვევლინა. ფული შეიქრა სოფლის ცხოვრებაშიც. წარმოიშვა სოფლის წიაღ-ში მიღდარი გლეხი, რომელიც „გაქორციელუ-არისტოკრატიაშიან ერთად ვანაგრძნობდა ღარიბი

რების შედეგებმა ნათელი უნდა ჰყოს და პრაქტი-კულად დადასტუროს ამ დებულების ჭეშმარიტ-ბუნებრივობა.

დაწესებულებების გაერთიანება, მშრომელი ინტელიგენციის, საიმედო ძალების სახელმწიფოებ-რივი აღმშენებლობის ფერხულში ჩაბმა უსათუოდ ძირიანად აღმოფხვრის ყალბ ნაციონალიზმის ბა-ცილებს, რომელიც ჰყვებას მენშევიკების ცრუპა-ტრიოტისმს.

გლეხის სისხლისაგან დაცლას. ალექსანდრე მელიქის „გამანთავისუფლებელ“ მანიფესტით პარტი-აყრილი თავად-აზნაურობა განაგრძნობდა ძველი გზით მსვლელობას, მისი ბასრი ბრკალები ახლა უფრო უხუთავდა სულს გუშინდელ ყმებს. „ქვეყნის რაინ-დები“ დიამეტრალად დაუპირისპირდა სოფლის ღარიბ დემოკრატებს.

ახალ ცხოვრების გაირეკება ახალ ამოცა-ნას უყენებდა შრომის გმირებს. ქალაქებში ქარხნის ახმურებამ მიიზიდა გლეხობის ერთი ნაწილი. ფო-თი-ბათომ-ქიათურა მუშა ხელის სააღრიცხო პუნქ-ტად გადაიქცა. ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში გაჩნ-და თვით მუშათა წრეებში ორი ოჯახი: ქალაქს დაახლოებული მუშებისა და მიწისთან მუშაქულ გლეხებისა. პირველი პოლიტიკური და კლასობრი-ვი შეგნებით მაღლა იდგენ უკანასკნელზე.

ამ რიგად, ეგნატე ნინოშვილის საქართველო მოწინააღმდეგე ფერთა შეზავებას წარმოადგენდა ერთის მხრით ადგა მშრომელი მასა, სოფლის და ქალაქის მუშები. მათ რიგებში თანდათან ფეხს იკი-დებდა გამანთავისუფლებელ მოძრაობისა-ბრძოლის შეგნება. მეორე მხრით დარბზული იყო საზოგა-დოების ზედ-მეტი და პარაზიტული ელემენტები: ბიუროკრატის ბრმა იარაღები, შავი სამღვდლოე-ბა, თავად-აზნაურობა, სოფლის ბოზოლო გლეხები და ქალაქის ბურჟუაზია. უკანასკნელი თავის თა-თებს სოფლის იდილიურ სურათისაქენ აფათურებ-და.

10 ივნისი

(გენატე ნინოშვილის ხსენებას).

მთის ნაპირიდან ვაძლიერებულს გიჟად ნაკადულს, ხან მოეღვარეს, ხან უშიშარს, ხან გადამაღვალს, მსურს დღეს, ათ ივნისს, ჩემი თხოვნა გაუზიარო, რომ ავადმყოფი, მისი სივრცე ავახმავო. საქართველოს გადარჩენა: ათი ივნისი გენატეს დღეა! გაიხსენება ძველი იმისი ვინც მამურობისთვის გოლგოთაზე ჯვარი აზიდა მოკაზმულ ენით მუშა-მშრომელი აქო-ადიდა. თავის მხრებზე ვინც ბრძოლა გადიტანა, ატარა; მტერი დაჰვმო, გაჰკიცხა, ისე სწრაფად და ჩქარა, რომ სხეულმა ვერ შესძლო ხუთი წლის ატანა; მუშის სევდა ნალექი საფლავს თან ჩაიტანა. დღეს ჩაეძახათ იმის სულს ტანჯვის გასაქარებლად, რომ აღსრულდა ნანატრი მთლიანად და უკლებლად, რომ ყველგან წითელი ბაიროლი აფრიალებდეს, ყველა დარგში პატრონათ მუშის ხელი ტრიალებს.

გ. გ-ძე.

გაცვრით ვსთქვით, რომ ქართველი ხალხი ეროვნულ მონობის სუსხსაც განიცდიდა თქო, რუსეთის იმპერიალისტურა პოლიტიკა მთელი თავისი სიმკაცრით საქართველოს „დიდი რუსეთის“ გუბერნიად გადაქცევასკენ იყო მიმართული. ქართველ ხალხს წაართვეს ენა, დაამუწვეს იგი. სოციალ პოლიტიკურ უტუდობათ პირობათა ჩამოყალიბების ნიადაგზე წარმოიშვა მთელი რიგი მიმართულებები როგორც პოლიტიკურ ლიტერატურაში, ისე მხატვრულ მწერლობაშიც. ჩამოქანდაკა იყო აზრი: 1) ბრძოლა ქართველი ხალხის ეკონომიკურ განთავისუფლებისათვის და 2) ბრძოლა ქართველი ხალხის ეროვნულ განთავისუფლებისათვის. ეგ ორი არსებითი პოლიტიკური მიმდინარეობა უსათუოდ შეადგენს ორ ერთმანეთზე გადაჯაჭვულ მომენტს მთელი, დასრულებული აზრის, სინთეზური შეხედულების, რომელიც შეიცავს ხალხის განთავისუფლების იდეას, როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურ-ეროვნულად. სამწუხაროდ, მაშინდელ საზოგადოებრივ აზროვნებაში საწინააღმდეგო თვალსაზრისები აისახა და განმანათლებლებელ მოძრაობის აზრის შემცენებელმა „ლიტერატურული ძალებმა“ ვერ გასცილდნენ სოციალისტური საკითხების ანტიტეტიკურ დაპირისპირებას.

ქართულ მწერლობაში, გასულ საუკუნეში, ორი გარკვეული „მოდერნება“ წამოიჭრა. ერთი უმთავრესად ეკონომიკური მომენტის წამოყენებით ამოიწურებოდა. მეორე—ეროვნული კითხვის გადაჭრის საკითხებით აინუსხებოდა. საზოგადოებრივი რიგები

ე. წ. დასებად დაიბრუნა. პირველ დასს ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა, მოწინააღმდეგეს—ქორდაიდა და სხ. მხოლოდ შემდეგ, მეოცე საუკუნის განთიადზე, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრების პირი-ზონტზე არილ ჯორჯაძის ფიგურა გამოჩნდა. არჩილმა შესძლო საკითხის ინტეგრალ საფუძვლზე დაყენება და ეროვნულისა და ეკონომიკურ მომენტების სინთეზი, მთლიან სახეში ჩამოყალიბება.

წარმოიშვა ეროვნულ-სოციალისტური მიმდინარეობა. გენატე ნინოშვილი მესამე დასის რიგებს ეკუთვნოდა. ამ დასის მიზნები დამსწრეობით გარკვეულ სახეს ენატეს ბელეტრისტულ მოქმედებაში გამოვლინდა. ნინოშვილის მხატვრული კალამი სოცლისტური ეკონომიკური ცხოვრების გადამოსაწვლად ამუშავდა. გენატეს არ მიუქცევია ურადლებების ცენტრი მშრომელი ხალხის ეროვნულ ჩაგვრის მხრი-

საკენ. უმჯველია, ეს დასის აზრთა მიმდინარეობის გავლენით აისხნება. გენატეს ყოველი მოქმედება, ნაწარმოები გლახობის ცხოვრების მხატვრული ანალიზით ხასიათდება. „მედიკამენტების“ ანალიზი უმჯველია, „პალისტომის ტბა“ და მრავალი სხვა ბელეტრისტული ნაშრომი მეტად ძვირფასი გადამუშავებული მასალაა, რომელიც ჩვენ თანამედროვებას აძლევს საშუალებას მშრომელი მასის მწარე ისტორიულ, წარსულ სინამდვილის ათვისებაში. მაგრამ გაცილებით დიდი იყო გენატეს სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დანიშნული გასულ საუკუნის მეორე ნახევარში. ნინოშვილმა ახალ ფარდა „დაფარულ“ საიდუმლოებას და ღარიბ მშრომელ გლეხობას საკუთარ ცხოვრების სარკეში ჩაახედია.

საბჭოთა საქართველოს მშრომელთა კლასის განსაკუთრებული ექსტაზით იხსენიებს გენატე უკვედა სახელს. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მუშურ-გლეხური საქართველო თავის სახელოვან წინაპართა გლოვრებაში ენატეს სახეს პირველ ადგენს დაუთმობს. ქართველი ხალხი დაადგა როგორც ეკონომიკური, ისე ეროვნულ განთავისუფლების გზას. ჩვენ, მუშებსა და გლეხებს, ძველ მებრძოლთა ძეგლებით რევოლუციონურ ნიადაგს გაახიერებს შედეგ, გვეძლევა საშუალება ახალი ქვეყნის მშენებლობის, სოციალისტური ცხოვრების მოწყობის.

დღეს დედა-ქალაქში ცხნით გენატეს ძეგლს. გენატე ღირსია ამის. კიდევ მეტი: მან თვითონ შექმნა ხელთ-უქმელი ძეგლი, რომელიც ყოველი მუშის და გლეხის სულის სიღრმეშია დაღმული.

გ. მუშოშვილი.

გენატე ნინოშვილი

გერმანიის ახალი ნოტა.

ბერლინი, 8 ივნისი. გერმანიის ნოტა, საკონტრიბუტო საკითხის შესახებ, რომელიც გუშინ გადაეცა მოკავშირეებს, იწყება განცხადებით, რომ გერმანიის მთავრობას სურს აიცილოს ყოველგვარი დაბრკოლება. რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს მოლაპარაკებას. ნოტა გამოსტეგავს თანხმობას მიიღოს რომელიმე მიუღწეველი საერთაშორისო ორგანოს გადაწყვეტილება კონტრიბუტების საერთო ჯამის და მისი გადახდის წესის შესახებ. გერმანიის მთავრობა ამ მიზნით მზად არის გადასცეს ამ ორგანოს შესაბამისად თავისი ყოველგვარი ფინანსური და სხვა ანგარიშები, ცნობების გერმანიის ვაჭრობა მრეწველობის რესურსების შესახებ და სხვა. ვინაიდან საერთაშორისო სესხის მიღება მოუხერხებელია. გერმანია მოითხოვს გადახდის ვადის

გადადებებს. პირველი გადახდა მოხდება 1927 წლის ივლისში. გერმანიის სახით გერმანიის მთავრობა გადასცემს მოკავშირეებს რკინის-გზების და მათი საწარმოო დარგების აქციებს. აქციები დაუყოვნებლივ იქნება გამოშვებული და მათი საერთო ჯამი უდრის 10,000 მილიონ ოქროს მარკას. ამას გარდა გერმანიამ რიცხვი შევსებისათვის სახელმწიფო მეურნეობისაგან, მრეწველობისაგან, ბანკირებისაგან, ვაჭრებისაგან, გზათა მიმოსვლისაგან და მიწ-მოქმედებისაგან. გერმანიის რიცხვს მიემატა აგრეთვე შემოსავალი თამბაქოზე, მაგრამ სასმელებზე და შაქარზე გადასახადებისაგან და აგრეთვე სახელმწიფო მონოპოლიზისაგან. დასასრულ ნოტაში ნათქვამია, რომ ასეთი სერიოზული საკითხის განხილვის დროს, როგორც არის საკონტრიბუტო საკითხი, მარტო წერილობით აზრთა გაცვლა-გა-

გერმანიის ნოტის გარშემო. პარიზი, 8 ივნისი. საფრანგეთის გაზეთები ადისტურებენ, რომ ბრიუსელის კონფერენციაზე ორი პირობაა, რომლის მიხედვითაც საფრანგეთი და ბელგია მზად არიან განიხილონ გერმანიის წინადადება: 1) გერმანია უნდა დათანხმდეს როგორც ევკალიპტის მოხდენის მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იგი კონტრიბუტის გადახდის და 2) რაიმე მოლაპარაკების დაწყებამდე, გერმანიამ ხელი უნდა აიღოს ყოველგვარ პასიურ წინააღმდეგობაზე. პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, ოფიციალურ განცხადებას, გერმანიის მიმართ იძულებითი ზომების გაძლიერების შესახებ და ამ განცხადებებში ის დასკვნა გამოჰყავს, რომ საფრანგეთსა და ბელგიას გადაწყვეტილი აქვთ მომავალშია გერმანიას იძულებით შესარულდნონ თავისი ვალდებულებანი.

პარიზი 8 ივნისი. საფრანგეთის გაზეთებს უმრავლესობა აცხადებს, რომ გერმანიის ნოტას ახალი წინადადებებით არ შეუძლია დააკმაყოფილოს მოკავშირეები. „პტი პარიზენსი“ აზრით ძველ ნოტებთან შედარებით, ეხლაან მიღებული ნოტა უკან ნაბიჯის გადადგმას მოასწავებს. გაზეთი გაზარდობს მოთხოვნას, რომ გერმანიამ მოსპოს პასიური წინააღმდეგობა.

პარიზი 8 ივნისი. ბელგიის გაზეთების უმრავლესობა ფიქრობს, რომ სანამ გერმანია არ მოსპობს პასიურ წინააღმდეგობას, მისი ნოტა არ უნდა იქნეს განიხილული. მორატორიუმის მინიჭება 4 წლის ვადით გაზეთების აზრით მიუღებელია, წინადადება კი ექსპერტების საერთაშორისო კომისიის არბიტაჟის შესახებ. გაზეთებს საეჭვოდ მიიჩნიათ.

ბერლინი, 8 ივნისი. „ეკო დე პარიზ“ ლონდონელი კორესპონდენტი სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემს, რომ ბანდენის საკონტრიბუტო საკითხის გადაჭრა შესაძლებლად მიიჩნია არა უახლოეს შემოდგომისა, ვინაიდან ბრიუსელის კონფერენციის

მარკს-ენგელსის პოლიტიკური მომენტები

3. მარკს-ენგელსის ეროვნებათა შესახებ. (შემდეგი)

შემდეგ წერილში (კლასთა ბრძოლის პრინციპი და ეროვნული საკითხი) მე დავახსიათებ მარკსის პოლიტიკას ეროვნულ საკითხისადმი და ზემოდ წამოყენებულ დებულებების ზედმეტ დამატეციტებულ სხვა ადგილებსაც მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითების მიხედვით.

ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე ამონაწერს მოვიყვანთ მარკს-ენგელსის ნაწერებიდან, რომელნიც პირდაპირ ეროვნებას შეეხებიან. 1864 წ. შემუშავებული იქნა პირველი მისამართი, „ადრესი“ ინტერნაციონალისა. („დამფუძნებელი მისამართი“, რომლიდანაც ადგილებს შემდეგ მოვიყვანთ). მარკსი ამ ადრესში შეაქვს თავისი შესწორებები და ადრესს გარკვეულ კლასთაურ ხასიათს აძლევს. თავის წერილში ენგელსისადმი (1864 წ. 4 XI) მარკსი აუწყებს ამ „მისამართის წარმოშობას“ და მის შესწორებებს: „როდესაც მისამართში სიტყვა ენება ინტერნაციონალის პოლიტიკას, მე ვამბობ ქვეყნების შესახებ, და არა ეროვნებაზე, ვამხელ რუსეთსა და არა პატარა სახელმწიფოებს—სწერს მარკსი. (იხ. 6. ლენინის მე-XIX-ე წიგნი გვ. 135, ან „Письма“ გვ. 200). 1866 წ. მარკსი სწერს ენგელსს „პრუდონისტების“ შესახებ. პარიზში, რომელნიც აცხადებენ ეროვნებებს (национальности) უაზრობად და ილაშქრებენ ბისმარკისა და გარიბალდის წინააღმდეგ. როგორც პოლიტიკა მოვიწინააღმდეგებ, ეს ტაქტიკა სასარგებლოა და სახსენებელი. მაგრამ როდესაც პრუდონის მორწმუნენი (მათ ეკუთვნის აგრეთვე ჩემი აქაური კეთილი მეგობრები ლაფარგი და ლონგე *) ფიქრობენ, რომ მთელს ევროპას შეუძლია და მოვლევს არის წყნარად და მშვიდლად იჯდეს, სანამ ბატონები საფრანგეთში გააუქმებენ სილარბებსა და გაუწათლებლობას... მაშინ ისინი სასაცილო არიან“ (ლენინი გვ. 135).

1866 წ. 20 ივლისის თარიღით მარკსი შემდეგ კორესპონდენციას უზავნის ენგელსს: „გუშინ ინტერნაციონალის საბჭოში მსჯელობა იყო თანამედროვე საომარ საქმეებზე. ამის შესახებ განცხადება იყო წინასწარი, და ჩვენი ოთხი ხალხით გაიტანა... დისკუსია, როგორც მოსალოდნელი იყო, გადადიოდა საკითხზე ეროვნებათა შესახებ საერთოდ და იმდენივე მომენტის შესახებ, რომელიც ჩვენ გვიჭირავს ამ საკითხის მიმართ. იგივე საკითხი გადატანილი იქნა უახლოეს სამუშაოსათვის.

„ახალგაზრდა საფრანგეთის“ წარმომადგენლებმა (არა მუშებმა) იქიდან დაიწყეს რომ ყოველივე ეროვნება და თვით ერი (ნაცი)ყოველივე ეს დამყვარებული შეხედულებათა ყველა უნდა და-

*) „Vordote“ საერთაშორისო მუშათა ასოციაციის ორგანოში, რომლის რედაქტორი იყო ბეკერი, 1866 წ. სწერდა: Даже самой малейшей Национальности должно быть обеспечено высшей самостоятельное существование“. ინტერნაციონალის პოლიტიკას უფრო ვრცლად შევხებით მეხუთე თავში.

იყოს წერილ „გუგუშვად“ ან „კომუნებად“. რომელიც თავისი მხრით შეადგენს კავშირს, და არა სახელმწიფოს. და ეს „ინდივიდუალიზაცია“ კაცობრიობისა და მასთან შეფარდებული „ეშტუალიზმი“ (ურთიერთ დამატება) უნდა განვიხილო, მაშინ როდესაც ისტორია ყველა სხვა ქვეყნებში შეწყდება, და მთელმა ქვეყნებებმა უნდა უტალოს, სანამ ბოლოს, ფრანგები მომწიფდებიან სოციალური რევოლუციის მოსახდენად... ინგლისელებმა ბევრი იცინეს, როდესაც მე დავიწყე ჩემი სიტყვა სიტყვებით, რომ ჩვენი მეგობარი ლაფარგი და სხვები რომლებმაც გააუქმეს ეროვნება, მოგვმართოდნენ ჩვენ „ფრანგულად“. ე. ი. იმ ენაზე რომელიც აუღიგრობის ცხრა-მეტედი არ ესმის. შემდეგ მე შევნიშნე, რომ ის ყოველგვარ ანგარიშს გარეშე. ეროვნებათა უაზრობის ქვეშ, ალბად გულისხმობს მათს ჩაუღაპავს ფრანგთა სამეფო-თა ნაციის მიერ.“ (იხ. „Письма“ გვ. 202).

რას გვეუბნება ეს გაბოხებული მარკსისა ინტერნაციონალში, მისი ბრძოლა პრუდონისტების წინააღმდეგ. რომელიც აუქმებდნენ ეროვნებას? არის თუ არა ეს საგულისხმეო დოკუმენტი იმის დასამტკიცებლად, რომ მარკსი არ უარყოფდა ეროვნულ საკითხს, არ აუქმებდა ეროვნებას, არამედ იცავდა დაჩაგვრულ ერებსა და იბრძოდა ერების „გამაუქმებელ თეორიების“ წინააღმდეგ.

კიდევ რამდენიმე ადგილი ენგელსის ნაწერებიდან: 1888 წ. ენგელსი ერთ თავის თხზულებაში კვლავ უბრუნდება ელზასლორენის საკითხს. (ეს კითხვა მრავალის მხრით ანტერესებდათ მარკს-ენგელსს და სწერს: „გერმანიის მხრით მარკსისა სამშობლოსი სტრასბურგის, ეს იხვევ ეწინააღმდეგებოდა ჯანიხალ მოსაზრებას, როგორც გარიბალდის სამშობლოს. ნიცას გაფრანგება... შიშველი ძალდატანების საშუალებით განხორციელებულია განზრახული. ეს იყო საფრანგეთის რევოლუციისადმი შურისძიება. პრუსიამ მოგვლია საფრანგეთის სწორად ნაწილი იმ ტერიტორიისა, რომელიც რევოლუციამ შეადგა საფრანგეთთან ერთად“. (იხ. ზინოვიევის დასახელებული წიგნი—გვ. 94.)

1890 წ. ენგელსი სწერს წიგნს „სოციალიზმი გერმანეთში“, რომელშიც უმთავრესად ენება საერთაშორისო პოლიტიკას და ომისა და რევოლუციის შესახებ მოსახდენობას. აგრეთვე სწერს: „ომი რომის დროსაც რუსები და ფანტები შემოიჭრებიან გერმანეთში, ასეთი ბრძოლა უკანასკნელისათვის გადაიქცევა არა სოციალისტის, არამედ სიკვდილთან ბრძოლად; ამ ომში მას (გერმანიის) შეუძლია უზ-

რუნველყოს თავისი ნაციონალური არსებობა მხოლოდ ყველაზე უფრო რევოლუციონურ ზომების საშუალებით გამოყენებით (იქვე 96).

1892 წ. იგივე ენგელსი „კომუნისტური მანიფესტის“ პოლინურ გამოცემის წინასიტყვაობაში სწერს: „ევროპის ხალხთა საერთაშორისო მჭიდრო თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ყოველი ამ ერთგანი თავისი სახლის სრული ბატონ-პატრონი იქნება“. ქართ. თარგმანი—გვ. 66).

ამ ამონაწერიდან მკითხველი დაინახავს, როგორ ეროვნულ მომენტს და ერთა მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებას, და არა მათ უარყოფას სარჩულად უდგეს ევროპის ხალხთა საერთაშორისო თანამშრომლობას. ამ თანამშრომლობის პრინციპში ერი, როგორც ერთი შემადგენელი ელემენტი და „თავისი სახლის სრული ბატონ-პატრონი“ რჩება და არ ისპობა.

გავაყოთთ მოკლედ დასკვნა. ჩემი ოპონენტი ამტკიცებდა, რომ ეროვნული საკითხი არის მარკსისათვის მხოლოდ ტაქტიკის საკითხი, რომელსაც მაშინ მოიხმარს, როცა გამოსაყენებელია, მაშინ უკუაღდებს, როცა საჭირო აღარ იქნება. მე ვფიქრობ, ასეთი დასკვნის გამოტანა მარკსიზმიდან არ არის სრული. ეროვნული საკითხი, აუცილებლად ტაქტიკის საკითხიც არის და ამიტომ მისი წამოყენება მაშინ შეიძლება, როცა ამას მოითხოვს ობიექტური საჭიროება. ეროვნულ საკითხს მარკსი უმთავრესად ტაქტიკისა და პოლიტიკის საზომით იხილავდა და უფარდებდა მის საერთაშორისო ცხოვრების მიმდინარეობას, რევოლუციის ინტერესებს: განსაზღვრულ კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში ეროვნულ საკითხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა (ინგლისი პოლინეთი) და რევოლუციურ მომენტად მიიჩნდა. სხვა შემთხვევაში ეროვნული მოძრაობა რეაქციის გამოვლენად ჰქონდა წარმოდგენილი (სლავიანთა ერებისა და რუსეთისადმი დამოკიდებულება). ამ მომენტების გავება და გამოირკვევა შესაძლებელია მხოლოდ ისტორიულ კონკრეტულ მაგალითების შესწავლით და ამ პირობებთან მარკსის პოლიტიკის ახსნით. მაგრამ ნიშნავს ის, რომ მარკსი რაკი ტაქტიკურადც სვამდა ეროვნულ საკითხს, ამიტომ იგი ეროვნებას უარყოფდა და არ ცნობდა ეროვნულ საკითხს?

მარკსისათვის ეროვნება, ეროვნული საზოგადოება არის ფაქტის საქმე, ისტორიული ცხოვრების მიერ შექმნილი. და განმტკიცებული არსებული ფაქტის საკითხია. ამ ფაქტში მარკსი დიდ კულტურულ ღირებულებასა და პროგრესის მაშობრებელ ძალას ვერ ხედავს. მარკსისათვის უფრო მისაღები იქნებოდა, რომ მსოფლიო ერთსახეობანი ყოფილიყო და ერთ ენაზე მოლაპარაკე, სუბიექტურად სოციალიზმად და სოციალიზმ-ფედერალიზმში ერთი ხედავს კაცობრიობის პროგრესის ერთ ძალას, კულტურულ მოვლენას, რომელშიაც მეტყველებს მსოფლიოს მრავალფეროვნება და წარმატების ნაკადულები. მარკსი მატერიალისტია, იგი კაცობრიობის

პროგრესს ეკონომიურ ფაქტორებს უდებს სარჩულად. ამ ეკონომიურ ძალთა თანაშეა, განვითარებაში ისტორიის განსაზღვრულ პერიოდში წარმოიქმნება ეროვნება და კაცობრიობა მრავალ შტოებად დაიშლება. ეს არის ისტორიული ფაქტი. რა მოვლას ამ ისტორიულ ფაქტებს მომავალში? იგივე ეკონომიური ფაქტები ხომ არ მოსპობენ მას? ეკონომიური წარმატება, სოციალიზმი, მშრომელთა მატრონობა მოსპობენ ერთა შორის არსებულ მხოლოდ წინააღმდეგობებს და კარ-ჩაცეცილობას, და არა ეროვნებას, ერს. ერი როგორც ასეთი—დარჩება იგივე ეკონომიური წარმატება დაახლოვების ერებს და მათ შორის წინააღმდეგობათა მოსპობით განმტკიცებს ერთა შორის სოლიდარობას.

ამ გაგებით ერი არ გამოდის დამოუკიდებელ და გადამჭრულ ფაქტორის როლში მარკსისტულ სოციალიზმში. მისი განვითარება და წარმატება დამოკიდებულია ეკონომიური ფაქტორებისა და კლასთა ბრძოლის განვითარებისაგან.

მარკსის ეროვნებაზე შეხედულების დასახსნათებლად მე მოვიყვანე მის პოლიტიკურ წერილებიდან ორი მეტად მნიშვნელოვანი ციტატას, სიღრნაც ჩვენ შეგვიძლება კონკრეტული წარმოდგენის გვიქონიოთ იმაზე, თუ რას წარმოადგენს მარკსი „შეხედულებით ეროვნება“

ისტორიული ცხოვრების ვითარებამ, მარკსის გაგებით კი ეკონომიურმა ფაქტორებმა, ერთის მხრით, ცალკე ინდივიდების კორპორაციებში შედლებით, უკანასკნელთა კი უფრო ფართო კორპორაციაში გადასვლით, წარმოშვა განსაზღვრული ტიპის საზოგადოებები, თავისი ინდივიდუალური თვისებებით, წეს-ჩვეულებებისა და ენით. ამ გვიარს კაცობრიობა დაიყო ასეთ რამდენიმე საზოგადოებად. მეორეს მხრით თვით ეს საზოგადოება დაყოფილა სხვა და სხვა სოციალურ კლასებად, წოდებებდ, რომელთა შორის ეკონომიური ანტაგონიზმი და შეურთებლობა მეფოდა. ამ კლასების კონკრეტულ განთავსებაში წარმოადგენენ ამ თუ იმ ეროვნებას რესტრუქციონ სოციალური ჯგუფები. მაგ. კაპიტალისტურ მეურნეობის პერიოდში ამ სოციალური მოწინააღმდეგე კლასების კონკრეტული გამოხატულებები არის პროლეტარიატი და ბურჟუაზია. კითხვა იმაღება ზემოდ დასახელებულ განსაზღვრულ ტიპის საზოგადოების კონკრეტული სახე როგორია. რაში შედგება ეს საზოგადოების ინდივიდუალობა კონკრეტულად—ეს არის ერი, ეროვნება მთლიანად. ამიტომაც ამბობდა მარკსი თავის პირველ წერილებში: „ევროპიზმი, რომლის შინაარსი არის ნაცი, უფრო სუფთაა და წმინდა, ვინც ევროპიზმის შინაარსი არის ცალკე წოდება, ან ცალკე კორპორაცია“.

1852 წ. „ნიუ-იორკის ტრიბუნაში“ გავხვდებით კორესპონდენტებში მარკსი სწერდა სხვათა შორის: „Германский народ, глубоко чувствующий необходимость покончить с несносным территориальным разделением, разбиавшим и уничтожавшим коллективную силу нации, одно время видел в

შემაშინებელი იკვებებიან მხოლოდ ბოსტნე-
ულთაგან. შესაძლებელია თუ არა ასეთ შემთხვევა-
შია? მისი შეძენა შეუძლებელია კოოპერატივის
საშუალებით?

აბს. ზონელის აზრით „არავითარ შემთხვევაში
არ დაიბნელება, რომ მან თავისი მოსავალი ერთი
თვის განმავლობაში გადაწყვეტილ ფასებში იძლიოს.
აღდგომის წინა დღეს თბილისის ბაზარზე კონა
მწვანე 20—30 ათასი მანეთიდან 100—150 ათ.
მანეთამდე ახტა“.

სწორედ ამ გვარ საქონლის ფორმების სტაბი-
ლურ მდგომარეობის შეტანა შეუძლებელი ხდე-
ბაო, დასკვნის ავტორი და აქედან ცხადია კო-
ოპერატიული ბონებიც ვერაფერს გვიწველის.

ვინ არ იცის, გარდა აბს. ზონელისა, რომ
შესაძლებელია (და ძალიან ხშირად ასედაც ხდება)
ბოსტნეულის მთელი მოსავლის წინააღმდეგ შესყიდვა
და ფასის გადახდა? ცხადია კოოპერატივს შეუძლია

იყილოს რამდენიმე ბოსტნის მთელი მოსავალი და
შემდეგ ის გაუნაწილოს მომხმარებელთა მათი მოთ-
ხოვნილებისამებრ. რასაკვირველია ამ შემთხვევაში
ფასების აწევა ბოსტნეულზედ წარმოუდგენელია,
ვინაიდან აქ ადგილი აქვს არა გაყიდვას, არამედ
უკვე წინადა ნაყიდის პატრონისათვის ჩაბარებას.

როგორც დავინახეთ, შესაძლებელია მწვანი-
ლის ფასების სტაბილიზაცია. და რადგანაც უმ-
თავრესი და ყველაზე სერიოზული არგუმენტი წა-
მოყენებული კოოპერატიული ბონების წინააღმდეგ
იყო მხოლოდ ეს, ამიტომ ჩემი პროექტი რჩება ძა-
ლაში და მწვანის არგუმენტაცია ჩემი ოპონენ-
ტის კურიოზად უნდა ჩაითვალოს უსათუოდ.

ჯერ-ჯერობით მეტს არაფერს ვიტყვი და
დაუტყდი უფრო სერიოზულ საბუთებს pro et con-
tra, ვინაიდან საკითხი ჩემ მიერ წამოყენებული მე-
ტად მნიშვნელოვანია.

ო.

გლესთა საერთოიერით დამსმარე კომიტეტის არჩევნები სოფლად

6 ივნისს, ოთხშაბათს, საღამოს 7 საათზე და
7 ივნისს, საღამოს 6 საათზე სოფელ ქვემო და ზე-
მო ავჭალაში შესდგა მრავალრიცხოვანი გლეხთა
ყრილობა, სადაც მოხსენება გააკეთეს სოციალურ
უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის წარმო-
მადგენლებმა აბს. ზ. ჩიქოვანმა და მ. პაიჭაძემ, მათ
აღნიშნეს ვრცლად გლეხთა საერთოიერით დამსმარე
კომიტეტების დაარსების მნიშვნელობა. კომიტეტის
დაარსების არჩევნებში მხურვალე მონაწილეობას
ღებულობდნენ ადგილობრივი კომპარტიის პასუხის-
მგებელი ინსტრუქტორი შიშინაშვილი და თემის
აღმასკომის თავმჯდომარე გურგენიშვილი. ყოველი-
ვე ახსნა-განმარტების შემდეგ აღნიშნულ საკითხზე
არჩეულ იქნა კომიტეტის წევრნი 10 კაცისაგან
თვითნებ სოფელში. არჩევნების შემდეგ ორივე სო-
ფელში ცალ-ცალკე ყრილობამ გამოიტანა შემდეგი
შინაარსისანი რეზოლუცია: აღნ. სოფ. გლეხთა სა-
ერთო ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება გლეხთა

საერთოიერით დამსმარე კომიტეტის დაარსების შე-
სახებ ცენტრიდან ჩამოსულ ამხანაგების მიერ ერთ-
ხმად დაადგინა:

„მიესალმოს საქართველოს სოციალურ უზ-
რუნველყოფის სახალხო კომისარიატს, რომელიც
ზრუნავს საერთოდ გლეხების, მშრომელთა და წი-
თელ-არმიელთა კირ-ვარაშე—ინვალიდების დროს,
რაც გამოიხატება უმთავრესად გლეხთა საერთოიერ-
ით დამსმარე კომიტეტების დაარსებაში. ფიცს
ვსდებთ ყოველ მომენტში გვისრულობთ, რათა და-
ვეხმაროთ ერთმანეთს გაჭირვების დროს, ვიზრუ-
ნოთ წითელ-არმიელთა ოჯახებზე და სხვა. მზათ
ვართ მოვახდინოთ თვით გადასახადის გაწერა, რა-
თა ამით შევინახოთ შავი დღისთვის ლუკმა. ზიზილი
განზე გამდგომით. გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ გა-
ერთიანებულ ფრონტს კაპიტალიზმის დასამხობად
საბჭოს ხელისუფლების კეთილდღეობისათვის“.

6.

საზოგადოებრივი მუხის სადამოებო

საზოგადოებრივი მუხის სადამოებო
მის. კავსადის გუნდისა, ამ ახლო მომავალში გაი-
მართება ტფილისის ყველა თეატრებში და შემ-
დეგ პროვინციებშიც.

გუნდი შესდგება 50 კაცისაგან და ასრულებს
განსაკუთრებით ძველ სახალხო სიმღერებს, საქა-
რთველოს ყველა კუთხისა, აგრეთვე გლეხურ ცხო-
ვრებიდან სცენებს სიმღერებით და სხვა...

კ. გამსახურდიას საღამო.

5 ივნისს რუსთაველის თეატრში გაიმართა
კ. გამსახურდიას საღამო. 4. განყოფილებისაგა. პი-
რველად მოხსენება გააკეთა პრფ. შ. ნუტუბიძემ
ოსტაულტ შენგელის ახალი შრომის შესახებ (ეგ-
რობის დაღუპვა მეორე წიგნი) რომელიც იპყრობს
მთელი ევროპის ყურადღებას და ბევრს სწერენ
მასზე.

მოხსენება დიდად საინტერესო იყო და სა-
ზოგადოება ყურადღებით ისმენდა, გათავებისას
ტაშის ცემით დააჯილდოვეს ლექტორი. მეორე გა-
ნყოფილებაში იყო დელეგაცია აღსანიშნავია თ.
ქაგუაძე, რომელმაც დადის გრძნობითა და გან-
კლებით წაიკითხა გამსახურდიას კარგი ლექსი „მა-
რია სტელა“. კარგი იყო აგრედვე ა. ვასაძის მიერ
წაკითხული გამსახურდიასავე ლექსი „ბერლინი“
და ხორავა, „მიზანტროპი“, პოეტთა შორის აღსა-
ნიშნავია ს. ფაშალიშვილი, ს. აბაშელი. მხოლოდ
ვიტყვიან ზოგიერთ „პოეტთა“ საყურადღებოთ,
რომ უმჯობესი იქნებოდა თავიანთ ლექსებს სხვას
წააკითხებდნენ. ამით მეტს მოიგებდნენ, მათი ლექ-
სიც. თორემ ამ გვარი მათი კითხვა საზოგადოება-
ში ერთ გვარ უსამოვნობას იწვევს და ზოგი ერ-
თიც დამსწრეთაგან ხელს უშლის კითხვას...

3. განყოფილებაში წარმოდგენილ იქნა მზი-
არული შარგი.

„სოფლის ფერწალი“, რომელშიც ბევრი აცო-
ნა საზოგადოება თავისი ხელოვნურ თამაშით. ა.
ქორეოლიანმა. ფერწალის როლში, დასასრულს
თვით კ. გამსახურდიამ სიტყვა წარმოსთქვა „ექს-
პრესიონიზმზედ“.

საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

3. 6.

აკაკი ფაღავას ბენეფისი. ხუთშაბათს, იენი-
სის 7-ს, რუსთაველის თეატრში შესდგა რეისო-
რის, აკაკი ფაღავას, ბენეფისი. წარმოდგენილი იქ-
ნა დ. კლდიაშვილის ერთ მოქმედებიანი სურათი
„გადაღწევა“ იმერეთის ცხოვრებიდან.

ჩვენმა ახალგაზრდა მსახიობებმა კარგათ შე-
სრულეს როლები. შემდეგ წარმოადგინეს ამავე აგ-
ტორის „ირინეს ბედნიერება“, (1-ლი მოქმედება).
და აქ კი სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ
ამ ანსამბლით შესრულებული პიესა, მთლიან სუ-
რათს იძლევა. ბევრი სხვა და სხვა ხასიათის და
მდგომარეობის სოფლის ტიპია გამოყვანილი; ყველა
მათი სიტყვა თუ ქესტი ბუნებრივი და უნაკლოა,
რაც საერთო ჰარმონიასა ჰქმნის და თქვენ აქ
სჭვრეტთ არა სცენას, სახიობის, არამედ ნამდვილ
რეალურ სოფლის ცხოვრებას, განსაკუთრებით აღ-

შეადგომის განყოფილება.

ჩვენი გაზეთის პარასკევის № 490-ში აბს. ს.
ქეიშვილის წერილში სათაურით „რაქის პირო-
ველტრონური სადგური“ დაშვებულია კორექტო-
რული შეცდომები. სწერია: „სადგური იქნებ 300
ცხენის ძალის“ უნდა იყოს „სადგური იქნება 30000
ცხენის ძალის“ ქვევით: „მოტანილია“ დინამო 3000
ვოლტის 525 კილოვატი-ამპერის“ უნდა იყოს „625
კილოვატ-ამპერის“ და სხ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული

საქართველოში

ამით აცხადებს საეჭრო სამრეწველოს მეპატრონეთა და ყველა იმ პირთა საყურადღებოდ, რომლებიც ჩამოთვლილნი არიან პირად სარეწი საქმიანობის აღწერილობაში და ვალდებული არიან გადასახადი სარეწი გადასახადი (მათ შორის სარეწი საქმიანობის მიზნით თავისუფალ პროფესიის მიმდევართა პირნიც —ექიმები, ბებები, მასაჟისტები, კბილის ექიმები და ტენიკოსები, ბეითლები, არქიტექტორები, ინჟინრები, დამცველთა კოლეგიის წევრნი, მსახიობნი—მეგუ-სიკეები, ბიკის მკურნები, ინსპექტორები და ავენტები კერძო საკრედიტო და დამზღვევ საზოგადოებათა და მოსიარულე ნოტრები), აგრეთვე კომერციულ ან-გარიშზე გადაყვანილ საბჭოთა წარმოებების პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა, ტრესტების, სინდიკატთა, საკრედიტო დაწესებულებათა სააქციო და შერეულ საზოგადოებათა, კოოპერატივთა და კოოპერატიულ გაერთიანებათა და სხვა საყურადღებოთაც, რომ თანახმად ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისა-რის განკარგულებისა, რომელიც დამყარებულია მიმდინარე წლის 5 აპრილს ამიერ-კავკასიის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ დეკრეტზე სახელმწიფო სარეწი გადასახადის შესახებ, ზემოდ დასახელებულ საწარმოთა შესახად უფლების ქონებისათვის და აგრეთვე პირად სარეწი საქმიანობის წარმოებისათვის დამდეგ საგადასახადო პერიოდში მიმდინარე წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრამდე, ისინი ვალდებული არიან აიღონ ამა წლის 1 ივლისამდე რეგულაციის ხაზინებიდან (ხოლო თბილისში აგრეთვე სახალხო ბანკის და რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის კასებიდან) სარეწი მოწმო-ბები სამი თვის ვადით. სარეწი მოწმობის აღების დროს დაცული იქნება დროებითი წესების 2 და 25 მუხ. მუხ. და ამ მოწმობის მიღებისათვის უნდა იქნეს გადახდილი ნახევარი იმ თანხისა, რომელიც აღრიცხულია ექვსი თვის ვადით ლიბრულ სარეწი მოწმობებისათვის. აგრეთვე ნახევარ ზომად უნდა იქნეს გადახდილი ყველა კანონში გათვალისწინებული დამატებითი გადასახა-დები ფუფუნებისათვის და ადგილობრივი.

თუ ფინანსკომის კასებში არ იქნება სარეწი მოწმობათა ბლანკე-ბი, გადახდელნი ბლანკების მაგიერ მიიღებენ კვიტანციებს, რომლებშიც მოკ-ლედ იქნება დასახელებული ყველა ცნობები ნაჩვენებ გადახდელთა მიერ თა-ვიანთ განცხადებებში. სარეწი მოწმობების და ან კვიტანციების მიცემის დროს, გადახდელთ ეძლევათ ფინანსკომის კასებიდან აგრეთვე განცხადების ბლანკები თავიანთ ბრუნვა-მოგების აღსანიშნავად და რაიონულ სახარკო კო-მისიებში წარსადგენად.

სარეწი მოწმობის უქონლად და ნაკლებ ფასიანი სარეწი მოწ-მობით ეაჭრობის წარმოებისათვის, გარდა სათანადო მოწმობის აღებისა, ბრა-ლდებული დაჯარიმებული იქნება არა უმეტეს ხუთი ზომა რაოდენობისა სრუ-ლიად ანუ ნაწილობრივ გადაუხდელ თანხისა.

მეპატრონენი, რომლებიც თავიანთ საწარმოში დაუშვებენ მოვალეობის შესასრულებლად სათანადო მოწმობის უქონლად იმ პირთ, რომლებიც ვალ-დებული არიან აიღონ ასეთი მოწმობები პირადი სარეწი საქმიანობისათვის, დაჯარიმდებიან არა უმეტეს ორი ზომა მოწმობის ლიბრულების თანხისა.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნე-ბული საქართველოში: ბ. ბიბინიშვილი.

გადასახდთა განყოფილების მართველის მთადგილე: ა. ბეზირგანიშვილი.

1--1 № 374.

ს. ს. მ. ს. კოლიგრაფიული განყოფ.

გაღაპვილა

რუსთაველის პროსპექტზე № 27.

ყოფილი ევროპიული ნომრები, სახელმწიფო ოპერის გვერდით

№ 371 3--2

ლიტერატურული-ტრეზნა

პოეზია მხატვრობა ქანდაკება ესთეტიკა კრიტიკა

ყოველ-კვირული სურათებიანი დამატება გაზ. „ტრიბუნა“.

გამოვა მოკლე დროში. მასალები უნდა გამოიგზავნოს „ტრიბუნის“ მისამართით.

ბარათი 1900

ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარი მართველობის მიერ. № 351

სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუჩენსტინის ქონ. № 4